

8 აგვისტოს კიდევ ერთმა პრეზიდენტობის კანდიდატმა ცესკოს საარჩევნო საბუთები წარუდგინა.
ცესკოს პრესსამსახურის თავმჯდომარეს აზერ სარიევის ინფორმაციით, დღეს იმედის პარტიიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა იგბალ აღაზადემ ცესკოს საარჩევნო საბუთები წარუდგინა.
აღსანიშნავია, რომ აქამდე 5-მა პრეზიდენტობის კანდიდატმა ცესკოს საარჩევნო საბუთები წარუდგინა. ესენი არიან: ახალი აზერბაიჯანის პარტიის (ააპ) თავმჯდომარე, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, თავისუფალი პარტიის თავმჯდომარე ახმედ ორუჯი, მოქალაქეობისა და განვითარების პარტიის თავმჯდომარე ალი ალიევი, აზერბაიჯანის ლიბერალური დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ფუად ალიევი და საკუთარი ინიციატივით კანდიდატურის წამომყენებელი იურისტი ილგარ მამედოვია.
შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატების წამოყენების პროცესს სტარტი მიეცა.
საარჩევნო კოდექსის მიხედვით, პრეზიდენტობის კანდიდატების წამოყენება აქტიური (პასიური) საარჩევნო უფლებების მქონე მოქალაქეებს, ამომრჩევლების საინიციატივო ჯგუფებს, პოლიტიკურ პარტიებს, პოლიტიკური პარტიების ბლოკებს შეუძლიათ.
ცესკომ საპრეზიდენტო არჩევნების 9 ოქტომბერს ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო.

ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის 15 ოქტომბერს ჩატარდა. აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნები ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება.